



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030620778803420

06 / თებერვალი / 2020 წ.

თბილისი #06-21/თ


**საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლ. საყვარელიძის სახელობის  
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული  
ცენტრის“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და “რ” ქვეპუნქტების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანდართული ადმინისტრაციული დეპარტამენტის დებულება.
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ” სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2017 წლის პირველი აგვისტოს #06-152/თ ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე